ბარსელონაში (ესპანეთი), „ლა მინას“ უბანში მცხოვრები ქართველი წამალდამოკიდებული მიგრანტების შესწავლა

ჯულიეტა ნერსესოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯულიეტა ნერსესოვა

19.06.2025

აბსტრაქტი

შესავალი: მიგრანტები, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ხშირად აწყდებიან სხვადასხვა სირთულეს, რაც მათი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას. აღნიშნული საკითხის კვლევა აუცილებელია მათ საჭიროებებზე მორგებული, ეფექტური მხარდამჭერი მექანიზმების შექმნისთვის. ამ კვლევის მიზანი იყო ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მცხოვრები ქართველი წამალდამოკიდებული მიგრანტების მდგომარეობის შესწავლა,

მეთოდოლოგია: კვლევა განხორციელდა თვისებრივი მიდგომით. კერძოდ, ხელმისაწვდომი შერჩევით, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ 15 წამალდამოკიდებულ ქართველ მიგრანტთან, ვინც სარგებლობს ზიანის შემცირების სერვისით ბარსელონას სოციალურად გაჭირვებულ და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაღალი გავრცელებით ცნობილ „La Mina-ს“ უბანში მოქმედ ორგანიზაციაში „REDAN“. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით.

შედეგები: რესპონდენტები აწყდებიან მრავალფეროვან სოციალურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სირთულეებს, როგორებიცაა: ფსიქოაქტიურ საშუალებებზე დამოკიდებულების აშლილობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, არალეგალური სტატუსი, უსაბუთობა, უმუშევრობა, უსახლკარობა და კანონთან კონფლიქტი. მათი მდგომარეობა არასტაბილურია. ისინი ჩაკეტილ წრეში იმყოფებიან, სადაც ფსიქოსოციალური პრობლემები ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარების ქცევის გაგრძელებასა და ამცირებს მკურნალობასა და რეაბილიტაციაში ჩართვის შესაძლებლობას; ეს, თავის მხრივ, აუარესებს მათ ფსიქოსოციალურ მდგომარეობას.

დასკვნა: ბარსელონაში, „La Mina-ს“ უბანში, მცხოვრები ქართველი მიგრანტები, ვინც მოიხმარს ნარკოტიკებს, წარმოადგენენ უკიდურესად მოწყვლად ჯგუფს, რომელთა საჭიროებები სისტემურ მულტიდისციპლინურ რეაგირებას მოითხოვს.

საძიებო სიტყვები: ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული აშლილობა/წამალდამოკიდებულება, მიგრანტები, ვინც მოიხმარს ნარკოტიკებს, ზიანის შემცირების სერვისები, ქართველი მიგრანტები.

Abstract

Introduction: Migrants who use drugs often encounter a range of challenges that impact nearly every aspect of their lives. Studying this issue is crucial for developing effective support systems tailored to their unique needs. This study aims to explore the psychosocial needs and conditions of Georgian drug user migrants residing in Barcelona, Spain.

Methodology: This study used a qualitative approach. A total of 15 semi-structured in-depth interviews were conducted with Georgian drug user migrants who receive harm reduction services in the organization „REDAN“ in the socially disadvantaged "La Mina" neighborhood of Barcelona, known for the high prevalence of drug use and crime. The convenience sampling method was applied. The collected data was processed through thematic analysis.

Results: The respondents face various social and health-related challenges, including illegal status, unemployment, homelessness, conflicts with the law, mental health issues, substance use-related disorder, and blood-borne infectious diseases. Their situation is highly unstable, and they find themselves ensnared in a vicious cycle where psychosocial difficulties perpetuate drug use behaviors, further hindering their ability to engage in treatment and rehabilitation; on it's turn, this deteriorates their psychosocial situation.

Conclusion: Georgian drug user migrants in the „La Mina“ district of Barcelona represent an exceptionally vulnerable group whose needs require a systemic multidisciplinary response addressing their multiple psychosocial needs comprehensively.

Keywords: Drug use-related disorder, Migrant drug users, Harm reduction services, Georgian migrants

მადლობა

პირველ რიგში, მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილს, გამორჩეული პროფესიონალიზმის, მუდმივი ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის. მისი დროული და ღირებული რეკომენდაციები და რჩევები კვლევის დაგეგვმა/ჩატარებისა და ნაშრომის წერის ყველა ეტაპზე ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იყო.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდი ესპანელ კოლეგებს ბარსელონის უნივერსიტეტიდან. სწორედ მათთან თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი აღნიშნული კვლევის განხორციელება. მათი ჩართულობა და მხარდაჭერა ფასდაუდებელია.

ამასთან, მადლობა მინდა გადავუხადო ზიანის შემცირების ცენტრის „REDAN“ გუნდს, განსაკუთრებით კი Sara Batalla Magriñá-ს, რომელმაც დაგვეხმარა რესპონდენტების მოძიებისა და მოზიდვის პროცესში.

საბოლოოდ, ძალიან მადლობელი ვარ და ვაფასებ იმ რესპონდენტების გულწრფელობასა და ნდობას, რომლებმაც გამონახეს დრო და გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება.